



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 მარტი 2026



N 147/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ქალაქ ლანჩხუთში სახიფათო ნარჩენების ინსინერაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის 10.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (წელიწადში 10 ტონამდე სახიფათო ნარჩენის აღდგენა ან/და განთავსება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სახიფათო ნარჩენების ინსინერატორის მოწყობა გათვალისწინებულია ქალაქ ლანჩხუთში, მგელაძის ქუჩა №22-ში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 27.06.48.461; ფართობი: 10 000 მ<sup>2</sup>), რომელიც სარგებლობის უფლებით სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აქვს გადაცემული. აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან საქმიანობისთვის გამოყენებული იქნება დაახლოებით 875 მ<sup>2</sup> ფართობი. ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების ინსინერაციისთვის განთავსდება 80 მ<sup>2</sup> ფართობის შენობა (GPS კოორდინატები: X-255352 Y-4664391), რომელიც განკუთვნილი იქნება ინსინერატორის დანადგარისთვის, ასევე 56 მ<sup>2</sup> ფართობის ოფისის შენობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით ესაზღვრება საავტომობილო გზა და რკინიგზის ხაზი, ხოლო ამავ მიმართულებით, დაახლოებით 53 მეტრის დაშორებით, განთავსებულია რკინიგზის სადგური. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშრებულია დაახლოებით 35 მეტრით, ხოლო უშუალოდ საპროექტო ინსინერატორის განთავსების შენობა-ნაგებობიდან - დაახლოებით 47 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ზედაპირული წყლის ობიექტი წარმოდგენილი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების ჩატარების საჭიროება არ დგას და აღნიშნული სამუშაოები, სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია გულისხმობს დაცემული/დაღუპული ცხოველების ლემის განადგურებას. აღნიშნული ნარჩენები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების მიხედვით, 20 03 99 ნარჩენის კოდით კლასიფიცირდება და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ III დანართით გათვალისწინებულ H9-H15 სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლებით ხასიათდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ინსინერატორი წარმოადგენს ორკამერიან (ძირითადი და დამატებითი) თერმულ დანადგარს, რომელიც ბუნებრივ აირზე მუშაობს, მაღალი ხარისხის წვის სანათურებით არის აღჭურვილი და ნარჩენების სრულ და უსაფრთხო განადგურებას უზრუნველყოფს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დაღუპული/დაცემული ცხოველის ლეშის შემოტანა მოხდება სპეციალური შესაფუთი მასალით და ინსინერატორში განთავსდება ტერიტორიაზე შემოტანისთანავე. პროცესი არ მოითხოვს დროებითი განთავსების საჭიროებას (შემოტანილი ლეშის დაყოვნება არ მოხდება). ინსინერატორში ნარჩენების ჩატვირთვა ჩასატვირთი მექანიზმით განხორციელდება. ნარჩენები ჩასატვირთ კამერაში ხელით ჩაიტვირთება. ძირითადი წვის კამერაში ინსინერაციის პროცესი 850-900°C-მდე წარიმართება. დამატებითი წვის კამერის ძირითადი ფუნქციაა ძირითადი წვის კამერიდან ამომავალი ნამწვი აირების სრული წვა და ჟანგვა, რაც ალის და ჟანგბადის მიწოდების რეგულაციით განხორციელდება. დამატებითი წვის კამერაში წვის მაქსიმალური ტემპერატურა 1100°C იქნება. ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ნამწვი აირები ატმოსფერულ ჰაერში მიწის ზედაპირიდან 8 მეტრი სიმაღლის და 0,4 მეტრი დიამეტრის მქონე საკვამლე მილის საშუალებით გაიფრქვევა. სრული წვის დასრულების შემდეგ ინსინერატორი ბუნებრივად გაგრილდება (თვითგაგრილება), რასაც დაახლოებით 2 საათი დასჭირდება. ინსინერაციის და გაგრილების პროცესის დასრულების შემდგომ, წარმოქმნილი ფერფლისგან/ნაცრისგან წვის კამერა ხელის ნიჩბით განიტვირთება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ II დანართით გათვალისწინებულ D10 განთავსების ოპერაციას შეესაბამება. ინსინერაციის დანადგარი მოემსახურება მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დაცემული/დაღუპული ცხოველების ლეშის გაუვნებლობას. ინსინერაციის დანადგარის საპროექტო მაქსიმალური წარმადობაა 60 კგ/4 სთ. ინსინერაციის ერთი სრული ციკლის ხანგრძლივობა 4 საათს შეადგენს, საიდანაც 2 საათი უშუალოდ ინსინერაციის და 2 საათი ინსინერატორის გაგრილების პროცესს ეთმობა. ინსინერატორი წელიწადში 50 დღე იფუნქციონირებს. ზემოაღნიშნული საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ინსინერატორში შესაძლებელი იქნება 60 კგ (0.06 ტ) ნარჩენის ინსინერაცია, რაც წლის განმავლობაში 3000 კგ-ს (3 ტ) შეადგენს. ინსინერატორში საწვავად საათში 46,6 მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირი იქნება გამოყენებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო მიზნით. სასმელ-სამეურნეო წყლით ობიექტი თავდაპირველად ბუტილირებულად მომარაგდება. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეიკრიბება ბეტონის საასენიზაციო ორმოში, რომელიც დაგროვების შესაბამისად, ხელშეკრულების საფუძველზე განიტვირთება. რაც შეეხება სანიაღვრე წყლის მართვას, საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლის პოტენციური დაბინძურების წყაროები არ იარსებებს. სანიაღვრე წყლის მართვისთვის დაგეგმილია სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემის მოწყობა და პირობითად სუფთა სანიაღვრე წყალი ბუნებრივად იქნება დრენირებული გრუნტში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინსინერატორის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, კადმიუმის ოქსიდის, სპილენძის ოქსიდის, ნიკელის ოქსიდის, ვერცხლისწყლის, ტყვიის და მისი ნაერთების, ქრომის, აზოტის დიოქსიდის, დარიშხანის, გოგირდის დიოქსიდის, ნახშირბადის ოქსიდის, ასევე მყარი ნაწილაკების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაზნების გაანგარიშება შესრულებულია „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების შესაბამისად. მოდელირების შედეგებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია როგორც უახლოეს რეცეპტორებთან (საკონტროლო წერტილი №1 - საცხოვრებელი სახლი, საკონტროლო წერტილი №2 -

რკინიგზის სადგური), ისე 500-მეტრიან ნორმირებულ საზღვარზე კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ინსინერატორის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითად წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს საწვავის და ჰაერის მიწოდების უზრუნველყოფისთვის გამოყენებული მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები, რომელთა მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე დაახლოებით 75 დბ-ს შეადგენს. დოკუმენტში, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული რკინიგზის ხაზის გათვალისწინებით, რომლის ხმაურის დონე 80 დბ-ს შეადგენს, წარმოდგენილია ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების პროგრამული მოდელირება. კუმულაციური ზემოქმედების ყველაზე უარესი სცენარის შეფასების მიზნით ხმაურის გავრცელების მოდელირება განხორციელდა ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც ერთდროულად ფუნქციონირებს როგორც ინსინერატორის დანადგარი, ასევე რკინიგზის ხაზი. განსახილველ ტერიტორიაზე ყველა წყაროს ერთდროულად მოქმედების შედეგად გენერირებული ხმაურის დონე არ აჭარბებს 81.2 დბ-ს. პროგრამული მოდელირების შედეგად დგინდება, რომ ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 42 დბ-ს არ აღემატება, ხოლო უშუალოდ ინსინერატორის განთავსების შენობა-ნაგებობიდან - 39.3 დბ-ს, რაც კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს არ აჭარბებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც არასახიფათო (დასახელება – შერეული მუნიციპალური ნარჩენები; კოდი – 20 03 01) ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც სეპარირებულად შეგროვდება. შერეული მუნიციპალური ნარჩენები კონტეინერებში განთავსდება და დაგროვების შესაბამისად, მუნიციპალური სამსახურის მიერ იქნება გატანილი. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, ინსინერაციის ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მოსალოდნელია წელიწადში დაახლოებით 60 კილოგრამი ფერფლის/ნაცრის წარმოქმნა, რომელიც სპეციალურ ჰერმეტიკულ პოლიეთილენის კონტეინერებში განთავსდება და ინსინერატორისთვის განკუთვნილ შენობაში, ცალკე გამოყოფილ სათავსში დასაწყობდება. ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ფერფლი/ნაცარი შესაძლებელია იყოს როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო და შესაძლებელია კლასიფიცირდეს 19 01 11\* ან 19 01 12 კოდებით. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ლაბორატორიული კვლევის ჩატარებამდე, აღნიშნული ნარჩენი ჩაითვლება სახიფათოდ. ნაცრის შემდგომი მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტები, რასაც არსებულ გარემოზე შესაძლოა კუმულაციური ეფექტი შეექმნა, არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია და ფლორისტული ან/და ფაუნისტური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ტერიტორიაზე ნიადგის ნაყოფიერი ფენა და ხე-მცენარეები წარმოდგენილი არ არის.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 10.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ქალაქ ლანჩხუთში სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია არ დაექვემდებაროს გზშ-ს;
2. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, საქართველოს მთავრობის 2016 წლის №144 დადგენილების “ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესი და პირობები”-ს შესაბამისად მოახდინოს საქმიანობის რეგისტრაცია;
3. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქალაქ ლანჩხუთის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/147-21-4-202603111657>

